თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 27**

„28“ აპრილი 2016 წელი

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის:ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

დანართი

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ**
**2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში**

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2014 წლის 25 დეკემბერს, რის შედეგადაც ბიუჯეტი განისაზღვრა 6503,0 ათასი ლარის ოდენობით.

2015 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელდა 19 ცვლილება, რაც გამოწვეულია:

- **532,08** ათ. ლარი - წლის დასაწყისში არსებული ნაშთის დაზუსტებით და შესაბამისად მისი ხარჯებში ასახვით.
- **2606,673** ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N39, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების საფუძველზე ეტაპობრივი ასახვით.
- **911,07** ათ.ლარი - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების საფუძველზე.
- **322,805** ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ოქტომბრის N2284, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ განკარგულების საფუძველზე.
- **25,0** ათ. ლარი - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მიღებული შემოსავლების გაზრდით
- **154,1** ათ.ლარი - ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების გაზრდით.
- **67,0** ათ.ლარი - არაფინანსური აქტივების კლების მუხლიდან მიღებული შემოსავლების გაზრდით.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **11121,7** ათ.ლარით.

| | 2015 წლის გეგმა | | | 2015 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 10 322,6 | 3 840,5 | 6 482,1 | 10 696,1 | 3 838,8 | 6 857,3 |
| გადასახადები | 1 655,0 | 0,0 | 1 655,0 | 1 931,3 | 0,0 | 1 931,3 |

| | 2015 წლის გეგმა | | | 2015 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 7 959,3 | 3 840,5 | 4 118,8 | 7 957,6 | 3 838,8 | 4 118,8 |
| სხვა შემოსავლები | 708,3 | 0,0 | 708,3 | 807,2 | 0,0 | 807,2 |
| | | | | | | |
| ხარჯები | 6 328,9 | 78,7 | 6 250,2 | 6 134,1 | 78,7 | 6 055,4 |
| შრომის ანაზღაურება | 1 710,6 | 0,0 | 1 710,6 | 1 703,2 | 0,0 | 1 703,2 |
| საქონელი და მომსახურება | 2 125,4 | 78,7 | 2 046,6 | 1 960,9 | 78,7 | 1 882,2 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 57,7 | 0,0 | 57,7 | 57,7 | 0,0 | 57,7 |
| სუბსიდიები | 1 940,8 | 0,0 | 1 940,8 | 1 940,2 | 0,0 | 1 940,2 |
| გრანტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 437,5 | 0,0 | 437,5 | 415,5 | 0,0 | 415,5 |
| სხვა ხარჯები | 56,9 | 0,0 | 56,9 | 56,6 | 0,0 | 56,6 |
| | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | 3 993,8 | 3 761,8 | 231,9 | 4 562,0 | 3 760,1 | 801,9 |
| | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 4 403,2 | 3 906,9 | 496,3 | 3 885,8 | 3 740,7 | 145,1 |
| ზრდა | 4 670,2 | 3 906,9 | 763,3 | 4 298,4 | 3 740,7 | 557,7 |
| კლება | 267,0 | 0,0 | 267,0 | 412,6 | 0,0 | 412,6 |
| | | | | | | |
| მთლიანი სალდო | -409,4 | -145,1 | -264,3 | 676,3 | 19,4 | 656,8 |
| | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -532,1 | -145,1 | -387,0 | 558,9 | 19,4 | 539,5 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 558,9 | 19,4 | 539,5 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,0 | | | 558,9 | 19,4 | 539,5 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | 2015 წლის გეგმა | | | 2015 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| აქციებისა | | | | | | |
| სესხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 532,1 | 145,1 | 387,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 532,1 | 145,1 | 387,0 | 0,0 | | |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | -122,7 | 0,0 | -122,7 | -117,4 | 0,0 | -117,4 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 122,7 | 0,0 | 122,7 | 117,4 | 0,0 | 117,4 |

| | 2015 წლის გეგმა | | | 2015 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 122,7 | 0,0 | 122,7 | 117,4 | 0,0 | 117,4 |
| | | | | | | |
| ბალანსი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

ფაქტიური შემოსულობების მიხედვით:

ქონების გადასახადიდან 2015 წლის განმავლობაში შემოვიდა 1931,3 ათასი ლარი. გეგმა 116,7%-ით.

მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან შემოვიდა 716,6 ათასი ლარი. დაგეგმილი იყო 820,0 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 87,4%-ით. აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 728,4 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 124,5%-ით, ხოლო, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი დაგეგმილი იყო 250,0 ათასი ლარი, შემოვიდა 473,0 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 189,2%-ით.

გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 99,98%-ით. მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი – 100%-ით, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 100%-ით.ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი-99,95%-ით.

პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2015 წელს დაგეგმილი იყო 45,0 ათასი ლარი, წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 43,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 97,6%-ით.

მოსაკრებელმა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობებისათვის წლის განმავლობაში შეადგინა 254,0 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 195,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 130,2 %-ით.

სანებართვო მოსაკრებელიდან მიღებულმა შემოსავალმა 2015 წლის განმავლობაში შეადგინა 32,3 ათ. ლარი,დაგეგმილი იყო 15,8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 204,6 %-ით.

2015 წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შეადგინა 30,9 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 103 %-ით.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 105,6%-ით. დაგეგმილი იყო 404,1 ათასი ლარი. მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 426,7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან - არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 412,6 ათასი ლარი, დაგეგმილი იყო 267,0 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 154,5%-ით.

სულ შემოსულობების გეგმა შესრულდა 104,9%-ით. 2015 წელს დაგეგმილი იყო 10589,6 ათასი ლარი (ნაშთის ცვლილების გარეშე), მიღებულმა საკასო შემოსავალმა კი შეადგინა 11108,7 ათასი ლარი.

| დასახელება | 2015 წლის გეგმა | | 2015 წლის ფაქტი | | პროცენტული მაჩვენებელი |
|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | სულ | მათ შორის | |

| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსულობები | 10 589,6 | 3 840,5 | 6 749,1 | 11 108,7 | 3 838,8 | 7 269,9 | 104,9 |
| შემოსავლები | 10 322,6 | 3 840,5 | 6 482,1 | 10 696,1 | 3 838,8 | 6 857,3 | 103,6 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 267,0 | 0,0 | 267,0 | 412,6 | 0,0 | 412,6 | 154,5 |
| შემოსავლები | 10 322,6 | 3 840,5 | 6 482,1 | 10 696,1 | 3 838,8 | 6 857,3 | 103,6 |
| გადასახადები | 1 655,0 | 0,0 | 1 655,0 | 1 931,3 | 0,0 | 1 931,3 | 116,7 |
| ქონების გადასახადი | 1 655,0 | 0,0 | 1 655,0 | 1 931,3 | 0,0 | 1 931,3 | 116,7 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 820,0 | | 820,0 | 716,6 | | 716,6 | 87,4 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0,0 | 0,0 | 0,0 | 13,0 | 0,0 | 13,0 | |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 0,0 | | | 2,7 | | 2,7 | |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 0,0 | | | 10,3 | | 10,3 | |
| საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე | 0,0 | | | 0,0 | | 0,0 | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 585,0 | 0,0 | 585,0 | 728,4 | 0,0 | 728,4 | 124,5 |
| ფიზიკურ პირებიდან | 300,0 | | 300,0 | 425,0 | | 425,0 | 141,7 |
| იურიდიულ პირებიდან | 285,0 | | 285,0 | 303,5 | | 303,5 | 106,5 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 250,0 | 0,0 | 250,0 | 473,0 | 0,0 | 473,0 | 189,2 |
| ფიზიკურ პირებიდან | 0,0 | | | 67,7 | | 67,7 | |
| იურიდიულ პირებიდან | 250,0 | | 250,0 | 405,3 | | 405,3 | 162,1 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0,0 | | | 0,3 | | 0,3 | |
| გრანტები | 7 959,3 | 3 840,5 | 4 118,8 | 7 957,6 | 3 838,8 | 4 118,8 | 100,0 |

| დასახელება | 2015 წლის გეგმა | | | 2015 წლის ფაქტი | | | პროცენტული მაჩვენებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 7 959,3 | 3 840,5 | 4 118,8 | 7 957,6 | 3 838,8 | 4 118,8 | 100,0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 4 118,8 | 0,0 | 4 118,8 | 4 118,8 | 0,0 | 4 118,8 | 100,0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 3 994,8 | | 3 994,8 | 3 994,8 | | 3 994,8 | 100,0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 124,0 | | 124,0 | 124,0 | | 124,0 | 100,0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 3 840,5 | 3 840,5 | 0,0 | 3 838,8 | 3 838,8 | 0,0 | 100,0 |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 2 929,5 | 2 929,5 | | 2 927,7 | 2 927,7 | | 99,9 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 911,1 | 911,1 | | 911,1 | 911,1 | | 100,0 |
| სხვა შემოსავლები | 708,3 | 0,0 | 708,3 | 807,2 | 0,0 | 807,2 | 114,0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 245,0 | 0,0 | 245,0 | 305,5 | 0,0 | 305,5 | 124,7 |
| პროცენტები | 45,0 | | 45,0 | 43,9 | | 43,9 | 97,6 |
| რენტა | 200,0 | 0,0 | 200,0 | 261,6 | 0,0 | 261,6 | 130,8 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 195,0 | | 195,0 | 254,0 | | 254,0 | 130,2 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 5,0 | | 5,0 | 7,7 | | 7,7 | 153,1 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 55,4 | 0,0 | 55,4 | 68,8 | 0,0 | 68,8 | 124,2 |

| დასახელება | 2015 წლის გეგმა | | | 2015 წლის ფაქტი | | | პროცენტული მაჩვენებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები დან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები დან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **49,4** | **0,0** | **49,4** | **66,1** | **0,0** | **66,1** | **133,7** |
| სანებართვო მოსაკრებელი | 15,8 | | 15,8 | 32,3 | | 32,3 | **204,6** |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0,1 | | 0,1 | 0,0 | | 0,0 | **45,6** |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 3,5 | | 3,5 | 2,8 | | 2,8 | **80,0** |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 30,0 | | 30,0 | 30,9 | | 30,9 | **103,0** |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **6,0** | **0,0** | **6,0** | **2,7** | **0,0** | **2,7** | **45,7** |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 6,0 | | 6,0 | 2,7 | | 2,7 | **45,7** |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **404,1** | | **404,1** | **426,7** | | **426,7** | **105,6** |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **3,8** | | **3,8** | **6,2** | | **6,2** | **161,9** |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **267,0** | **0,0** | **267,0** | **412,6** | **0,0** | **412,6** | **154,5** |
| **არაწარმოებული აქტივები** | **267,0** | **0,0** | **267,0** | **412,6** | **0,0** | **412,6** | **154,5** |
| მიწა | 267,0 | | 267,0 | 412,6 | | 412,6 | **154,5** |

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგამების/ქვეპროგამების შესრულების შესახებ ანგარიში

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული

ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

2015 წელს ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციისათვის დაგეგმილი იყო 5615,3 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 5299,1 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 94,4%-ით.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 944,7 ათ. ლარი, დაფინანსებამ შეადგინა 933,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 98,8%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, რამაც გააუმჯობესა არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 20,01,2015 წ N39 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში განხორციელდა სოფელ სანიორიდან სოფელ ართანაში შემოსასვლელი ცენტრალური გზის მოასფალტება 2,3 კმ., გაიხარჯა 459.34 ათ.ლარი, აღნიშნული გზით სარგებლობს 2696 ბენეფიციარი, სოფელ წინანდალში საუბნო გზების (რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალი 2014 წელს მოასფალტებული გზის გაგრძელება) მოასფალტება-225,34 ათ. ლარი, სარგებლობს 1400 ბენეფიციარი. პროექტების შედგენისათვის დაიხარჯა 16,5 ათ. ლარი. განხორციელდა სოფ. შალაური, კისისხევის, რუისპირის და გულგულის მოასფალტებული გზების ორმოული შეკეთება - 46.8 ათ. ლარი. პროექტის განხორციელების შედაგად გაუმჯობესდა როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით გადაადგილება. შემცირდა ავტომანქანების ცვეთა. ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 2016 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების პროექტების შეძენა ღირებულებით 23,4 ათ. ლარი. სოფ. თეთრწყლებში განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსებით გზის რეაბილიტაცია სანიაღვრე არხების მოწყობით 4,7 ათ. ლარით. გაკეთდა პროექტი სოფ. წინანდლის გზის რეაბილიტაციისათვის ღირებულებით 3,0 ათ. ლარი, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით, ჭარბი ნალექის შედეგად დაზიანებული გზების მოსაშანდაკებლად დაიხარჯა 1,77 ათ. ლარი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ თელავის მუნიციპალიტეტში წინა წლებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისათვის თელავის მუნიციპალიტეტს და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად გადახდილია თანხა-151,8 ათ. ლარი. (სოფ. კურდღელაურში სადგურის ქუჩის რეაბილიტაცია).

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში ხორცილედება გარე-განათების, წყალმომარაგების და არსებული საკანალიზაციო სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

## ბ.ა) სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით მუნიციპალიტეტი ახორციელებს ჭაბურღილების მოვლა-პატრონობას, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოვლა-პატრონობას და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას.

წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინასებისათვის 2015 წელს დაგეგმილი იყო 2185,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2094,1 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 95,8%-ით. მათ შორის:

**რეგიონალური პროგრამით განხორციელდა** სულ 16 პროექტი ღირებულებით 1405,7 ათ. ლარი.

1. სოფელ ბუშეტში ჭაბურღილის მოწყობა დამოუკიდებელი კვების წყაროს მოწყობით სულ დაიხარჯა 88.283 ათ.ლარი. სარგებლობს 1381 ბენეფიციარი.
2. სოფელი ვანთაში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და წყალსადენი მაგისტრალის მოწყობაზე დაიხარჯა 77,410 ათ. ლარი. სარგებლობს 550 ბენეფიციარი.
3. სოფელ გულგულაში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 80,209 ათ. ლარი. სარგებლობს 1256 ბენეფიციარი.
4. სოფელ აკურაში ჭაბურღილის მოწყობა რეზევუარით. დაიხარჯა 64,285 ათ. ლარი. სარგებლობს 450 ბენეფიციარი.
5. სოფელ იყალთოში სასმელი წყლის ჭაბურღილის რებილიტაცია, სამარაგო ავზებისა და მილსადენების მოწყობა . დაიხარჯა 92,138 ათ. ლარი. სარგებლობს 2905 ბენეფიციარი.

6. სოფელ კისისხევში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა. (დრენაჟის მოწყობით) დაიხარჯა109,508 ათ. ლარი. სარგებლობს 2422 ბენეფიციარი.
7. სოფელ ლაფანყურში სასმელი წყლის დრენაჟის მოწყობა ქსელთან ერთად. დაიხარჯა 138,768 ათ.ლარი. სულ სარგებლობს 1055 ბენეფიციარი.
8. სოფელ აკურაში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია სულ დაიხარჯა 91,941 ათ.ლარი. სარგებლობს 900 ბენეფიციარი.
9. სოფელ რუისპირში სასმელი წყლის დრენაჟის მოწყობა. დაიხარჯა 72,351ათ. ლარი. სარგებლობს 3115 ბენეფიციარი.
10. სოფელ ვანთაში სასმელი წყლის ცენტრალური და შიდა ქსელების რეაბილიტაცია. დაიხარჯა 72,189 ათ. ლარი. სარგებლობს 424 ბენეფიციარი.
11. სოფელ სანიორეში და ჯუღაანში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია. დაიხარჯა 54,123 ათ. ლარი. სარგებლობს 1118 ბენეფიციარი.
12. სოფელ ვარდისუბანში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია. დაიხარჯა 77,707 ათ.ლარი. სარგებლობს 3184 ბენეფიციარი.
13. სოფელ ლალისყურში სასმელი წყლის ცენტრალური ქსელის რეაბილიტაცია. დაიხარჯა 138,876 ათ.ლარი. სარგებლობს 773 ბენეფიციარი.
14. ქვემო ხოდაშენი ჭაბურღილის მოწყობა. დაიხარჯა 99,560 ათ.ლარი. სარგებლობს 1590 ბენეფიციარი.
15. სოფელ ბუშეტში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია. დაიხარჯა 57,585 ათ.ლარი. სარგებლობს 615 ბენეფიციარი.
16. სოფელ წინანდალში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია. დაიხარჯა 45,834 ათ.ლარი. სარგებლობს 2746 ბენეფიციარი.

სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა სასმელი წყლის სისტემების და ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა, მოხდა ჭაბურღილებზე გახარჯული ელ. ენერგიის ანაზღაურება - სულ თანხით 639,7 ათ. ლარი, მათ შორის:
1, სოფ. შალაურში მოეწყო ჭაბურღილი ღირებულებით 11,9 ათ. ლარი,
2, განხორციელდა სოფ. ქვ.ხოდაშენში, რუისპირში, ახატელში, იყალთოში არსებული წყალსადენი ქსელების დაზიანებულ მონაკვეთებში ლითონის მილების პლასტმასის მილით შეცვლის სამუშაოები და სოფ.ფშაველში ყოფილი საკონსერვო ქარხნის უბანში სასმელი წყლის ქსელის სამშენებლო სამუშაოები ღირებულებით 25,2 ათ. ლარი,
3, სოფ. იყალთოში სტადიონის უბანში არსებული ჭაბურღილიდან ერთ-ერთ მოსახლამდე წყალსადენის ახალი ქსელის მოწყობა ღირებულებით 1,897 ათ.ლარი და თაღლაურას უბანში არსებული ჭაბურღილის ლაჩაშვილის უბანში არსებულ ჭასთან დამაკავშირებელი წყალსადენის ახალი ქსელის სამშენებლო სამუშაოები ღირებულებით 4,486 ათ.ლარი.
4, ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა აგრეთვე სოფ. ართანაში სასმელი წყლის ცენტრალური მილების შეცვლა - 43,0 ათ. ლარი.
5, სასმელი წყლის ქსელების მოვლა-პატრონობაზე და წერტლოვან შეკეთებაზე დაიხარჯა 179,8 ათ. ლარი,
6, სასმელი წყლის ჭაბურღილების ტუმბოების შეცვლა-შეკეთებაზე -160,1 ათ. ლარი,
7, ჭაბურღილებზე გახარჯული ელ. ენერგია ანაზღაურდა 201,1 ათ. ლარით.
8, მოეწყო ახალი აღრიცხვის კვანძები ღირებულებით 3,2 ათ. ლარი.
9,ჭარბი ნალექისაგან დაზიანებული სასმელი წყლის ქსელების აღდგენისათვის დაიხარჯა 5,4 ათ. ლარი.
10. მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისათვის დაიხარჯა 3,7 ათ.ლარი,
11. სოფ. ვარდისუბანში დასრულდა 2014 წელს დაწყებული სასმელი წყლის რეაბილიტაცია, 2015 წელს ანაზღაურდა 48,7 ათ. ლარი.

### ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია.

2015 წლის განმავლობაში დაფინანსდა 405,8 ათ. ლარით, დაგეგმილი იყო 408,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,4%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე განათების ტექნიკური მომსახურება და გახარჯული ელ. ენერგიის ანაზღაურება. აქედან:

1,შესყიდული და დამონტაჟებული იქნა 400 ცალი (90,2 ათ. ლარი) ახალი სანათი იყალთო -აკურა გზის მონაკვეთზე.

2. სიპი კაბელი გაიბა სოფელ ლაფანყურში 3,7კმ; სოფლებში აკურა, იყალთოს ზონებზე 12კმ, ფშაველი, ლეჩური, ლალისყური 4,3კმ, სოფელ თეთრიწყლებში 0,8 კმ. ღირებულებით 40,9 ათ. ლარი.

3. გარე განათების ტექნიკური მომსახურებისათვის გაიხარჯა 147,8 ათ. ლარი

4. გახარჯული ელ. ენერგიის ასანაზღაურებლად და ახალი კვანძების მოსაწყობად გაიხარჯა 126,9 ათ. ლარი.

## ბ.გ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 01)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, მყარი ნარჩენების გატანა. სპეც. ტექნიკის განახლება და ბუნკერების რაოდენობის ზრდა სისუფთავის უზრუნველსაყოფად.

ყოველივეს დასაფინანსებლად 2015 წელს დაგეგმილი იყო 717,1 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 661,7 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 92,3%-ით.

საქართველოს მთავრობის 20,01,2015 წ N20 განკარგულებით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით, პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა:

1, 211 ცალი ნაგვის კონტეინერი (200,0 ათ. ლარი), რომლებიც გადანაწილდა მუნიციპალიტეტის სოფლებში, 2, ნაგავმზიდი მანქანები, ღირებულებით 190,0 ათ. ლარი და 107,95 ათ. ლარი,

**ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა:**

1, მუნიციპალლიტეტის სოფლების - იყალთო, კურდღელაური, ვარდისუბანი, გულგულა, ვანთა, ბუშეტი, ქვ. ხოდაშენი, წინანდალი, კისისხევი, ნასამხრალი,კონდოლი, შალაური, ყარაჯალა, თეთრწყლები, ვარდისუბანი-თეთრწყლების გზის მონაკვეთი - სტიქიური ნაგავსაყრელებიდან გატანილი იქნა 4126 ტონა ნაგავი (ღირებულებით-90,0 ათ. ლარი),

2, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან სისტემატურად ხდება ურნებში და ურნებს გარეთ მოგროვილი ნაგვის გამოტანა, რომელზეც გაიხარჯა 71,7 ათ. ლარი.

3. დასრულდა „თელავის ხევის“ გაწმენდითი სამუშაოები -2,1 ათ. ლარი.

ქვეპროგრამის განხორციელებით გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის სანიტარული მდგომარეობა, შემცირდა სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობა.

## ბ.დ) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 2015 წელს დაფინანსდა 225,9 ათ. ლარით, დაგეგმილი იყო 354,6 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 63,7%-ით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

1,სოფ. წინანდალში დოლიაურის ხევის გალერეის შეკეთება და ნაპირსამაგრის მოწყობა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ოქტომბრის N2284, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ განკარგულებით გამოყოფილი თანხით. განკარგულებით განისაზღვრა 322,805 ათ. ლარი, 2015 წელს შესრულდა 194,8 ათ. ლარის სამუშაოები, პროექტი დასრულდება 2016 წელს.

2, დასრულდა სოფ. კისისხევი-შალაურის დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე ე.წ. „ვაკის“ არსებულ ხევზე მილსადენების და ნაპირსამაგრების სარეაბილიტაციო სამუშაოები, 2015 წელს დაფინანსდა 22,3 ათ. ლარით.

3, ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა სოფ. ლაფანყურში მდ. ლოპოტის ხეობაში ნაპირდამცავი გაბიონის მშენებლობის სამუშაოები ღირებულებით-5,3 ათ. ლარი,

4, შეძენილ იქნა პროექტი სოფ. წინანდალში დოლიაურის ხევის გალერეის შეკეთება და ნაპირსამაგრის მოწყობისათვის, ღირებულებით 3,5 ათ. ლარი.

პროექტების განხორციელებით თავიდან აცილებული იქნება ჭარბი ნალექისაგან მიყენებული ზიანი.

## ბ.ე) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორცილებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ. აკურის, ლაფანყურის, ვანთის, ბუშეტის და წინანდლის ხევების გაწმენდა და ნაპირების გამაგრებითი სამუშაოები. აღნიშნული ღონისძიებები დაფინანსდა 49,0 ათ. ლარით, დაგეგმილი იყო 75,0 ათ. ლარი გეგმა შესრულდა 65,4%-ით.

**ბ.ვ) სოფლის მხადარჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორცილებული ღონისძიებები ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური, ყოფითი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, პროგრამით გათვალისწინებული თანხა ხმარდება სოფლის მაცხოვრებლების გადაწყვეტილებით, ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას,

2015 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების საკასო შესრულებამ შეადგინა 918,3 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 919,4 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,9%. (იხ. დანართი N1). (მ.შ. 8,4 ათ. ლარი 2014 წლის სოფლის პროგრამიდან დარჩენილი ნაშთი, რომელიც გაიხარჯა სოფ. ვარდისუბანში კულტ. სახლის სახურავის რეაბილიტაციისათვის 8,0 ათ. ლარი, სოფ. თეთრწყლებში გზის რეაბილიტაციის თანადაფინანსება 0,4 ათ,ლარი)

**2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2015 წელს პრიორიტეტის განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 1351,1 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 1223,1 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 90,5%-ით.

**ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01 01)**

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 17 ბაგა-ბაღი : სოფ.აკურის ბაგა-ბაღი, სოფ. ვანთის ბაგა-ბაღი, სოფ. ბუშეტის ბაგა-ბაღი, სოფ. ქვ.ხოდაშნის ბაგა-ბაღი, სოფ. წინანდლის ბაგა-ბაღი, სოფ. კონდოლის ბაგა-ბაღი, სოფ. კისისხევის ბაგა-ბაღი, სოფ. გულგულის ბაგა-ბაღი, სოფ. ვარდისუბნის ბაგა-ბაღი, სოფ. ყარაჯალის ბაგა-ბაღი, სოფ. რუისპირის ბაგა-ბაღი, სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღი, სოფ. სანიორის ბაგა-ბაღი, სოფ. თეთრწყლების ბაგა-ბაღი, სოფ. ფშავლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლაფანყურის ბაგა-ბაღი, სოფ. ართანის ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანება"-ში. ბაგა-ბაღების ფუნქციონირებისათვის და სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის, აგრეთვე ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 2015 წელს დაგეგმილი იყო 1339,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1215,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 90,7 %-ით.

2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით რეაბილიტაცია ჩაუტარდათ სოფ. აკურის (2,8 ათ. ლარი), სოფ. ვანთის (20,3 ათ. ლარი), ბუშეტის (7,0 ათ.ლარი), ქვ. ხოდაშენის (3,5 ათ. ლარი) გულგულის ბაგა-ბაღებს (18,7 ათ. ლარი), სოფ. ვარდისუბანის (12,8 ათ. ლარი), სოფ. შალაურში არასამთავრობო ორგანიზაცია „Worldvizion"-ის და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით (12,6 ათ. ლარი) გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი, სოფ. ფშაველში დაიწყო ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა (18,1 ათ. ლარი).

თითქმის ყველა ბაღის შენობა ნაწილობრივ მაინც შეკეთდა, მოწესრიგდა სველი წერტილები. დღეის მდგომარეობით ბ/ბაღების სამზარეულოებში გვაქვს ცივი და ცხელი წყალი, ყველა ბაღისთვის შეძენილ იქნა მაცივრები, განახლდა ჭურჭელი და ინვენტარი, შეივსო სათამაშოებით, 6 ბაღისთვის შეძენილ იქნა ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი.

2015 წელს გაიხსნა 2 ახალი ბაღი, კურდღელაურში და შალაურში, თუმცა 2 ჯგუფისთვის, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე ორივე ბაღში იგეგმება თითო ჯგუფის დამატება. სოფელ ნაფარეულში მიმდინარეობს ბაღის რემონტი, რომელიც 2016 წლის გაზაფხულიდან დაიწყებს ფუნქციონირებას.

2015 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის იმითაც იყო გამორჩეული, რომ მთელს რეგიონში მხოლოდ ჩვენ მუნიციპალიტეტის ბაღებში დაემატა გახანგრძლივებული ჯგუფები, რომლითაც სარგებლობს ყველა აღსაზრდელი უფასოდ და სამჯერადი კვებით.

ააიპ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება მუდმივად ზრუნავს გაერთიანებაში შემავალი ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვისათვის. ბაგა-ბაღებში მოწესრიგდა კვების პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში მოუწესრიგებელი იყო, დღეს ბავშვები იკვებებიან სრულფასოვნად, დაცულია კვების ნორმები, რომელიც აუცილებელია ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის. მუდმივად ზრუნავენ სააღმზრდელო პროცესების დახვეწისთვის, აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მათ უტარდებოდათ ტრენინგები და ამ საკითხთან მიმართებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს არასამთავრობო ორგანიზაცია „Worldvizion"-ის წვლილი, რომელთანაც აქვთ ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა. აღმზრდელების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბაგა-ბაღების გაერთიანების შინაგანაწესში შევიდა ცვლილება და აღმზრდელები და გამგეები ინიშნებიან კონკურსის წესით, რაც საშუალებას იძლევა შეირჩეს კვალიფიკაციური კადრი და შეიქმნას რეზერვი.

ვფიქრობთ, რომ 2015 წელს ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა მუნიციპალიტეტში შემავალ ბაღებში. შედეგმაც არ დააყოვნა და დღეს ბაღი საკმაოდ მოთხოვნადია. ამის დასტურია ისიც, რომ 2014 წლის ბოლოს ირიცხებოდა 900-მდე აღსაზრდელი, ხოლო 2015 წლის ბოლოსთვის მოიმატა ბავშვთა რაოდებობამ 500 ბავშვით და მათმა რაოდენობამ შეადგინა 1400.

**ბ) სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა საბავშვო კულტურულ- საგანმანათლებლო ღონისძიებები, დაგეგმილი იყო 11,8 თ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7,9 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 67,1%-ით. პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სოფ. წინანდალში ბავშთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვილი ღონისძიება, ბავშთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიების ფარგლებში 19 საბავშვო ბაღს გადაეცათ 3,2 ათ. ლარის ღირებულების სათამაშოების ნაკრები, სოფ. ვარდისუბანში მცხოვრებ მათე კობიაშვილს მივილოცეთ ბავშვთა დღე საჩუქრებით, ღირებულებით 0,3 ათ. ლარი.

შეძენილ იქნა სააღმზრდელო ლიტერატურა ღირებულებით 1,8 ათ. ლარი, რომელიც გადაეცათ ბაგა-ბაღებს ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

სოფ. ნაფარეულიდან სოფ. სანიორის საბავშვო ბაღში ბავშვების ტრანსპორტირებისათვის დაიხარჯა 2,6 ათ. ლარი

**3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის ღონისძიებები, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

2015 წელს კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 1050,0 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 1024,4 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 97,6%-ით.

**ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული მოედნების და სკვერების მოწყობა, აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელბისთვის.

**ა.ა) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორცილედება ააიპ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დაფინანსება, 2015 წელს დაგეგმილი იყო 227,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 227,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

სასპორტო გაერთიანებაში ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სექცია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, განხორციელდა გუნდების მომზადება და სხვადასხვა დონის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა. პირველობების ჩატარება, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება. მატერიალურ -ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

თვითმმართველი თემის სასპორტო გაერთიანების დაფუძნებამ მკვეთრად შეცვალა სურათი.ამაღლდა სპორტის მასობრიობა,გაიზარდა სპორტში ჩართულობა, წინა წლის მდგომარეობით ორგანიზაციაში ფუნქციონირებდა სპორტის შვიდი სახეობის ოცდასამი სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი და მოიცავს თოთხმეტ სოფელს: ლალისყურს, ფშაველს,ართანას,ნაფარეულს,ლაფანყურს,აკურას,ბუშეტს,წინანდალს,კისისხევს, კონდოლს,ვარდისუბანს,ყარაჯალას,რუისპირს და იყალთოს.

სულ ოცდასამ ჯგუფში გაერთიანებულია 583 მოზარდი,რომელთაც ემსახურებათ ოცდასამი მწვრთნელ-მასწავლებელი. მოსწავლეთა ძირითადი კონტიგენტი 12 წლამდე ასაკის მოზარდია. გამომდინარე მოზარდთა ასაკისა და სპორტული სტაჟისა, მაღალ სპორტულ შედეგებზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ თქმა იმისა,რომ სპორტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებიდან ერთ-ერთი მიღწეულია-ესაა მოზარდთა მასობრივი ჩართვა სპორტულ საქმიანობაში, რამაც მომავალში წმინდა სპორტული მაჩვენებლები უნდა განსაზღვროს. გარდა ამისა, განსაკუთრებით გამოსაყოფია ის გარეომებაც რომ, სპორტი ხელმისაწვდომი გახდა სოფლის მოსახლეობისთვის, რამდენადაც სწავლება უფასოა და სპორტი „მიწოდებულ“იქნა მოზარდთა საცხოვრებელ ადგილებში, რაც ოჯახის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ეკონომიასაც იწვევს ადმინისტრაციულ ცენტრში ბავშვის ინტენსიური მგზავრობიდან გამომდინარე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სპორტული ჯგუფები თემის სოფლების უმრავლესობას მოიცავს,მაგრამ ასათვისებელია სოფლები როგორიცაა, ლეჩური, სანიორე, ჯუღაანი, კურდღელაური, შალაური, ქვემო ხოდაშენი, გულგულა, თეთრწყლები, ნასამხრალი. ამდენად მიზნობრივად მიგვაჩნია, რომ არცერთი სოფელი ასეთი სიკეთის გარეშე არ უნდა დარჩეს.

ორგანიზაციის არსებობის მცირე მონაკვეთში შევძელით ადგილობრივი მნიშვნელობის სპორტმასობრივი ღონისძიებების ჩატარება:

კერძოდ ფეხბურთის ორი გუნდი მონაწილეობას ღებულობს კახეთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ბავშვთა ჩემპიონატში. ორივე გუნდი იმყოფება პირველ ადგილზე, ასევე ჩატარდა ფეხბურთში ფესტივლის ხასიათის შეჯიბრებები და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში. ს.რუისპირის მკვიდრის გიორგი (ჟორა) ბურდულის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სოფელ ლაფაყურში ამირან ჯანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სოფელ ვარდისუბანში წინა საშობაო დღესასწაულისადმი მიძღვნილი რაიონული ტურნირი მინი ფეხბურთში და 5-9 სექტემბერს, სოფელ ნაფარეულში ჩატარდა ღონისძიება ,,ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების პროგრამა“ სადაც მონაწილეობა მიიღო რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან 400-მდე ბავშვმა.

ჭიდაობა - სასპორტო გაერთიანების მოჭიდავეები მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა რესპუბლიკურ ტურნირებში სადაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, კერძოდ, 2015 წლის ნოემბერში ახმეტაში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირზე ძიუდოში ასაკების მიხედვით ორმა მოჭიდავემ გიორგი რუსულაშვილმა და გივი მორბედაძემ დაიკავეს პირველი ადგილები, ხოლო ქ. თბილისში საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ღია პირველობაზე ძიუდოში სამმა ბავშვმა დაიკავა საპრიზო ადგილები. ჩატარდა მუნიციპალიტეტის შიდა და ქალაქ თელავის მერიის სასპორტო გაერთიანების ერთობლივი ღონისძიება- შიდა პირველობა ჭიდაობა ძიუდოში და ქართულ ჭიდაობაში, გარდა ამისა, მოჭიდავეები სისტემატურ მონაწილეობას იღებენ რაიონში გამართულ ტრადიციულ და სახალხო დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

რაგბში სასპორტო გაერთიანების მოთამაშეები მონაწილეომენ საქართველოს ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგაში და ჭაბუკთა ,,ბ“ ლიგაში, უმცროსი ასაკის მორაგბეთა ოთხი გუნდი კი სისტემატურად ერთვება სარაგბო ფესტივლებში.

რესპუბლიკურ ტურნირებში სცადეს ძალები მკლავჭიდელთა და უშუს(აღმოსავლური ორთაბრძოლა) გუნდებმა.

ა.ბ) სპორტული და დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული და

დასვენების ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწყობა და რეაბილიტაცია, სპორტული ინვენტარის შეძენა. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის. სოფ. იყალთოში და სოფ. ლეჩურში მოეწყო სკვერები და სპორტული მოედნები, შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი, აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის 2015 წელს დაგეგმილი იყო 97,1 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 94,3 ათ, ლარი, გეგმა შესრულდა 97%-ით.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

ბ.ა) სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მატერიალურ -ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად ფუნქციონირებს ააიპ „წინანდლის სამუსიკო სკოლა", ააიპ „რუისპირის სამუსიკო სკოლა", ააიპ „აკურის სამუსიკო სკოლა".

2015 წელს სახელოვნებო სკოლების დაფინანსებისათვის დაგეგმილი იყო: ააიპ აკურის სამუსიკო სკოლა 43,0 ათ. ლარი, ააიპ წინანდლის სამუსიკო სკოლა 91,1 ათ. ლარი, ააიპ რუისპირის სამუსიკო სკოლა 45,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 98,2%-ით. სამუსიკო სკოლების მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა ფესტივალებსა და კონცერტებში: 2015 წლის 6 თებარვალს ქ. თელავში ჩატარდა კახეთის მეორე ახალგაზრდული მუსიკალური ფესტივალი საქართველოს ხელოვნების აკადემიის, გენერალური დირექტორის, პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის ეგიდით, სადაც მონაწილეობდნენ წინანდლის სამუსიუკო სკოლის მოსწავლეები, სიგელებით დაჯილდოვდნენ მგალობელთა ჯგუფი, ფორტეპიანოს და ვოკალის მოსწავლეები, ქ. თბილისში გოგი ცაბაძის სახელობის მომღერალთა კონკურსზე მოიპოვეს საპატიო დიპლომები და გალა კონცერტში მონაწილეობის უფლება.

„მომავლის ვარსკვლავები 2015 წელი", „იპოვე შენი ვარსკვლავი". კლასიკური მუსიკის კონცერტი და ა.შ. წარმატებული გამოსვლისათვის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ლაურეატის დიპლომებით. ააიპ რუისპირის სამუსიკო სკოლის და ააიპ წინანდლის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს თურქეთის საერთაშორისო სამუსიკო ფესტივალში, მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ლაურეატის დიპლომებით, ხოლო პედაგოგებს გადაეცათ საერთაშორისო სერტიფიკატი. ყოველივე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი სტიმულია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მუსიკალური განათლების დაუფლებისათვის.

ბ.ბ) ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 02 05).

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ააიპ „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება", ორგანიზაციის მეშვეობით საზოგადოებას ეძლევა საშუალება მუდმივად გაეცნოს და მიიღოს ინფორმაცია მისთვის საჭირო და საინტერესო საკითხებზე. ჩატარდა ღონისძიებები, როგორც ცალკეულ სოფლებში, ასევე ზონალურად წარჩინებულ ბავშვების და წარმატებულ

ადამიანების მონაწილეობით. მოეწყო კაფე-საღამო. განახლდა წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკებში კარ-ფანჯრებზე დამონტაჟდა დამცავი გისოსები.
საბიბლიოთეკო გაერთიანების ფუნქციონირებისათვის 2015 წელს დაგეგმილი იყო 113,1 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 112,9 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,2%-ით.

ბ.გ) ა.ა.ი.პ. თვთმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02 04)

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია ააიპ „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი", რომელშიც გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 9 კულტურის სახლი, რომლებიც მრავალი სხვადასხვა ადგილობრივი კულტურული ღონისძიების განმახორციელებელია (სხვადასხვა სოფლის დღესასწაულები, შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვა).

თითქმის ყველა სოფელში ჩატარდა ადგილობრივი სოფლის დღესასწაულები, მათ შორის სოფ. თეთრწყლებში „300 არაგველობა", სოფ. ლაფანყურში „ვაჟაობა", და სხვ. სოფ. წინანდალში ჩატარდა სახალხო დღესასწაული „ალექსანდრეობა", სადაც ადგილობრივ მოსახელობასთან ერთად იზეიმეს საქართველოს სხვადახვა რეგიონებიდან და დედაქალაქიდანჩამოსულმა სტუმრებმა.

პროგრამის განხორციელებით გაიზარდა ინტერესი მოსახლეობის და ახალგაზრდობის მიერ სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებში დაგეგმვა- მონაწილეობის მიღებაზე. 2015 წელს ააიპ კულტურის ცენტრი დაფინანსდა 292,2 ათ. ლარით, გეგმა შესრულდა 100%-ით.

2015 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდათ სოფ. ვარდისუბნის და სოფ. ლალისყურის კულტ. სახლის სახურავებს, რაზეც დაიხარჯა 18,9 ათ. ლარი, ხოლო სოფ. ლაფანყურში კულტ. სახლის დემონტაჟისათვის დაიხარჯა 4,9 ათ. ლარი.

გ) ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

